№ 191 მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი ხელიწადი მეორე

ფასი 1 მანეთი. ხუთშაბათი 28 აგვისტო 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველ დღე გამოსცემს ხელმწიფ. [illegible]
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებანი)

„საქართველოს რესპუბლიკა"

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალკე № ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82

ვასო ინწკირველი, მარიამ ივანოვისა და ევა პოპიაშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეს, ხუთშაბათს 28 აგვისტოს გვაქვს ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი

ეპატერინე (კატო) იოგის ასული ინწკირველის

სულის მოსახსენებლად. წირვა და პანაშვიდი—ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დილის 10 საათზე.

საჭიროა ოჩემჩირის ახალი ტიპის გიმნაზიისათვის გამოცდილი გამგე.

არსებულ ჯამაგირზე ზევით ქალაქის გამგეობის მიერ მიეცემა 500 მანეთი თვეში. საჭიროა იმავე სასწავლებლისთვის აგრეთვე მასწავლებლებიც. თხოვნებით მიმართეთ განათლების სამინისტროს. ოჩემჩირის ქალაქის გამგეობა. 1178 5—2

პირველ ცხენოსან პოლკში,

რომელიც დაბინავებულია ნავთლუღში დროებით საჭიროა პოდპორუჩიკები და უფროსუნტერ ოფიცრები, რომელთაც დამთავრებული აქვთ სამოსწავლო კომანდა, კარგი არიან ყოფაქცევითა და ზნეობით, ქართული ენის კარგა მცოდნე. საჭიროა სათანადო მოწმობები. ჯამაგირი ვახმისტრს—600 მან., უფროს უნტერ-ოფიცრებს—500 მან. და ჯარის კაცის „პაიოკი". 1204 2—1

ოფიციალური განყოფილება

კანონი

საქართველოს სენატის დებულების შემოღებისა.

I. ამასთანავე დართული „საქართველოს სენატის დებულება" განხორციელებულ იქნეს ამა 1919 წლის ოქტომბრის 1-დან.

II. ყველა საკასაციო საჩივარი, პროტესტი და აგრეთვე კერძო საჩივარი, შეტანილი ტფილისის სასამართლოს პალატის, ოლქის სასამართლოს, მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის, სამხედრო სასამართლოს და დროებით საგანგებო სასამართლოს გადაწყვეტილებასა, დადგენილებასა და განაჩენზე, თუ საბოლოოდ განხილული არ იქნება არსებული წესით ამა 1919 წლის სექტემბრის 15-დე, გადაეცეს გადასაწყვეტად სენატს.

III. „სასამართლო დაწესებულებათა" დებულებასა და სისხლის და სამოქალაქო სამართლის წარმოების წესდებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. „სასამართლო დაწესებულებათა დებულებაში":

ა) გაუქმდეს მუხლები: 114—119[4], 127, 128, 128[1], 131 მუხლის შენიშვნა, 140[1], ორივე შენიშვნით, 200, 208, 215, 216, 217, 219-222, 248, 257, 430, 432-437[1];

ბ) 179 მუხ. შეიცვალოს ასე: „სენატის დეპარტამენტების ანგარიშს, ამ დეპარტამენტთა საზოგადო კრებაზე განხილვის შემდეგ, სენატის თავმჯდომარე წარუდგენს პარლამენტს; ანგარიშის პირი უნდა ეცნობოს იუსტიციის მინისტრს;

გ) 182 მუხლში სიტყვა „უზენაესის" შეიცვალოს სიტყვით „მთავრობის";

დ) 184 მუხლში ამოიშალოს სიტყვა „პირველდამსწრენი";

ე) ამოიშალოს 210 მუხლში სიტყვები: „და ობერ-პროკურორის ამხანაგისა" და „ობერ-პროკურორის თანამდებობისათვის არა ნაკლებ 12 წლისა";

ვ) 212 მუხ. შეიცვალოს ასე: „ოლქის სასამართლოს და სასამართლო პალატის წევრნი, თავმჯდომარენი და მათი ამხანაგნი ინიშნებიან სენატის მიერ, ხოლო გამომძიებელნი, უფროსი ნოტარიუსები, ოლქის სასამართლოს, სასამართლო პალატის და სენატის პროკურორები და მათი ამხანაგები მთავრობის მიერ".

ზ) 214 მუხ. შეიცვალოს ასე: „ოლქის სასამართლოები და სასამართლო პალატა წარუდგენენ სენატს წინა მუხლში აღნიშნულ კანდიდატებს მათის თანხმობით";

ც) 232 მუხლში ამოიშალოს სიტყვა „პირველდამსწრეთ";

თ) 233 მუხლში სიტყვები: „უზენაესის ნებართვით" შეიცვალოს სიტყვებით: „სენატის ან მთავრობის ნებართვით კუთვნილებისამებრ";

ი) 295[2] მუხლს დაემატოს შენიშვნა: „ამ მუხლში აღნიშნული წესი არა ვრცელდება სენატორებზე";

კ) 431 მუხლი შეიცვალოს ასე: „საქართველოში სასამართლო ხელისუფლება ეკუთვნის მომრიგებელ მოსამართლეს, მათ ყრილობათ, ოლქის სასამართლოს, სასამართლო პალატას და სენატს";

ლ) სიტყვა „ობერ-პროკურორი" 300, 306, 329, 329[1] და 330 მუხ. შეიცვალოს სიტყვად „სენატის თავმჯდომარე", ხოლო დანარჩენ მუხლებში სიტყვად „სენატის პროკურორი";

მ) ყველა მუხლში ამოიშალოს სიტყვა—„უმართებელესი"; სიტყვა „პირველდამსწრე" შეიცვალოს სიტყვებად: „სენატის თავმჯდომარე"; სიტყვა „ობერ-პროკურორი" სიტყვად „მდივანი"; სადაც ნახსენებია: „უმართებელესის სენატის 1-ლი დეპარტამენტი", იქ აღინიშნოს: სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილება"; სადაც ნახსენებია: „უმართებელესი სენატის 1-ლ და საკასაციო დეპარტამენტთა შეერთებული საკრებულო", იქ აღინიშნოს: „სენატის საკასაციო დეპარტამენტთა შეერთებული საკრებულო"; სადაც ნახსენებია: „უმართებელესის სენატის 1-ლ და საკასაციო დეპარტამენტთა საზოგადო კრება" ან „უმაღლესი სადისციპლინო საკრებულო", იქ აღინიშნოს: „სენატის საკასაციო დეპარტამენტთა საზოგადო კრება".

2. „სამოქალაქო სამართლის წარმოების წესდებაში":

ა) გაუქმდეს 1470—1473 მუხლი;

ბ) 678[1] მუხლში სიტყვები: „1-ლ და საკასაციო დეპარტამენტთა შეერთებულ საკრებულოში" შეიცვალოს სიტყვებად: „სენატის შეერთებულ საკრებულოში".

გ) 802 მუხ. დაემატოს ბოლოში: „საქმის განხილვის დღე ეუწყებათ საქმეში მონაწილეებს, თუ განუცხადებენ სენატს თავის მისამართს ქ. ტფილისში";

დ) 803 მუხლში სიტყვები: „განსაზღვრული მორიგებით ან ერთმანეთან შეთანხმებით შეიცვალოს სიტყვებად: „სენატის თავმჯდომარის მიერ დანიშვნით";

ე) 809 მუხ. შეიცვალოს ასე: „თუ განსაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმებულ იქნება, სენატი დაუბრუნებს საქმეს იმავე პალატას ან მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობას ხელახლა განსახილველად და გადასაწყვეტად, იმ პირობით, რომ საქმის ახალ განხილვაში მონაწილეობა არ მიიღონ იმ მოსამართლეებმა, რომელთა გადაწყვეტილებაც გაუქმებულია";

ვ) ყველა მუხლში ამოღებულ იქნეს სიტყვა „უმართებელესი"; სიტყვა „პირველდამსწრე" შეიცვალოს სიტყვებად—„სენატის თავმჯდომარე", ხოლო სიტყვა „ობერ-პროკურორი" შეიცვალოს სიტყვებად: „სენატის პროკურორი ან მისი ამხანაგი".

3. სისხლის სამართლის წარმოების წესდებაში:

ა) გაუქმდეს მუხლები: 235-[2], 1061-[1], 1061-[3], 1071 მუხლ. მე-4 პუნქტი, 1075, 1076, 1085, 1088 მუხლ. მესამე პუნქტი, 1088-[1], 1092-1097, 1105, 1112 ორივე შენიშვნით, 1267, 1270 და 1277;

ბ) 917 მუხლი შეიცვალოს ასე: „საქმის განხილვის დღე ეუწყებათ საქმეში მონაწილეებს, თუ განუცხადეს სენატს თავისი მისამართი ქ. ტფილისში, ან თუ ტფილისის საპყრობილეებში არიან დაპატიმრებულნი".

IV. გაუქმდეს რუსეთის დროებითი მთავრობის დადგენილება სადისციპლინო სასამართლოს თაობაზე.

V. გადაიდოს სახელმწიფო ხაზინიდან:

ა) ერთ დროულად სენატის დეპარტამენტთა და სენატის პროკურორების კანცელარიების მოსაწყობად და საკანცელარიო ხარჯად; სენატის კანცელარიებისათვის ოც-ოცი ათასი მანეთი და პროკურორების კანცელარიებისათვის ათ-ათი ათასი მანეთი, სულ 60,000 მან.

ბ) ყოველთვიურად, 1919 წლის ოქტომბრის პირველიდან: სენატის საპროკურორო ნაწილის და საკოდიფიკაციო განყოფილების შესანახად და საკანცელარიო, სამეურნეო, საგზაო და დღიურ ხარჯად, შტატების შესანახად 171,000 მან.

1919 წ. ივლისის 29 ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

დეკრეტი.

ტფილისის საოსტატო ინსტიტუტის გაუქმებისა და სახელმწიფო უნივერსიტეტთან საპედაგოგიო ინსტიტუტის დაარსებისა.

1. გაუქმებულ იქმნეს ტფილისის საოსტატო ინსტიტუტი და დახურულ იქნეს მისი კრედიტი.

2. დაარსდეს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნის - მეტყველებისა და ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეთან 1919 წ. სექტემბრის 1-დან საპედაგოგიო ინსტიტუტი, ამასთან დართული დებულებისა, შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის თანახმად.

3. გავრცელდეს საპედაგოგიო ინსტიტუტის პირად შემადგენლობაზე დამფუძნებელი კრების მიერ ამა 1919 წ. მაისის 20-ს მიღებული დეკრეტი (კან. და მთავრ. განკარგ. კრებული 1919 წ. № 8, კან. მე 60) რესპუბლიკის სამოქალაქო უწყებათა სახელმწიფო მოსამსახურეების ჯამაგირის მომატებისა.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. ივლისის 31 ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

დეკრეტი

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა"

1. „საპედაგოგიო ინსტიტუტის" კურსი ორი საფეხურისგან შესდგება, ორ ორი წლის კურსით.

2. პირველი საფეხური „საპედაგოგიო ინსტიტუტისა" ამზადებს უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებლებს, ხოლო ორივე საფეხური ერთად—საშუალო სკოლის მასწავლებელთ.

3; „საპედაგოგიო ინსტიტუტის" მსმენლად მიიღება სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნის მეტყველებისა და ფიზიკა მათემატიკის ფაკულტეტის ყოველი სტუდენტი.

4. პირველ საფეხურზე, გარდა მესამე მუხლში აღნიშნულ პირთა მიიღება აგრედვე საოსტატო სემინარიის კურს დამთავრებული და აგრედვე ის პირიც, რომელიც „საპედაგოგიო ინსტიტუტთან" არსებულ საგანგებო გამომცდელ კომისიაში სათანადო გამოცდას ჩაბარებს.

5. „საპედაგოგიო ინსტიტუტის" ორივე საფეხურის მსმენელი თეორეტიულ საგნებს უნივერსიტეტში ისმენს და სათანადო გამოცდას იქვე აბარებს, ხოლო პრაქტიკულ-საპედაგოგიო დარგში ინსტიტუტში მუშაობს და გამოცდას აქვე აბარებს.

6. „ინსტიტუტის" კურსი დარგებად იყოფა და შემდეგი საგნებისაგან შესდგება: ა, **საერთო საგნები**: საპედაგოგიო ფსიქოლოგია, სასკოლო ჰიგიენა, პატოლოგიური პედაგოგიკა, სკოლის ორგანიზაცია და ისტორია, პედაგოგიკის შესავალი. ბ, **სპეციალური საგნები**: მეთოდიკა და ისტორია სასკოლო საგნებისა—მეცნიერებათა ისტორიასთან დაკავშირებით: 1,—მათემატიკისა, 2,—ქართული ენისა და სიტყვიერებისა, 3,—მსოფლიო ლიტერატურის ისტორიისა, 4,—მსოფლიოს ისტორიისა და საქართველოს ისტორიისა, 5,—გეოგრაფიისა, 6,—ბიოლოგიურ მეცნიერებათა, 7,—ფიზიკისა და ქიმიისა, 8,—სასკოლო ხელოვნებათა—სიმღერა, მუსიკა, ხატვა, ძერწვა, ხელგარჯილობა და 9,—არა ნორმალურ ბავშვთა აღზრდა.

შენიშვნა 1: ზემოდასახელებულ საგანთა გარდა „ინსტიტუტის" საბჭოს უფლება ეძლევა—დაავალოს თავის მსმენელთ—ორი საპედაგოგიო და მნიშვნელოვანი საგნის ფაკულტეტზე მოსმენა და შესწავლა.

შენიშვნა 2: თვითოეულს ზემოდასახელებულს საგანში მსმენელი მხოლოდ მაშინ იწყებს მეცადინეობას, თუ მან სათანადო თეორეტიული სამეცნიერო დარგის ლექციები მოისმინა უნივერსიტეტში და გამოცდა ჩაბარა.

7. მეექვსე მუხლში დასახელებულ საგანთა შესწავლას თან ახლავს პრაქტიკული მეცადინეობა, რომელსაც შეადგენს: ა. სამეცნიე-

რო დემონსტრაციები ბ,—რეფერატების კითხვა, გ,—საპედაგოგიო ფსიქოლოგიური, სასკოლო ბიოლოგიური და ჰიგიენური გამოკვლევა, დ,—ცნობილ მასწავლებელთა გაკვეთილებზე დასწრება და გარჩევა, ე,—მსმენელთა საცდელ გაკვეთილების მიცემა და გარჩევა სხვ.

8. „საპედაგოგიო ინსტიტუტის“ საქმეთ განაგებს საბჭო და დირექტორი, რომელსაც სათანადო ფაკულტეტის პროფესორთა საბჭო ირჩევს და სახალხო განათლების მინისტრი ამტკიცებს.

9. საბჭოს მოვალეობას შეადგენს: ა,—დამტკიცება ლექციების პროგრამებისა და პრაქტიკული ვარჯიშობის გეგმისა, ბ,—მსმენელთა მიღება და გამორიცხვა; გ,—გამოცდების წესისა და წესრიგის გამორკვევა და დ,—დიპლომების მინიჭება.

10. თვითეული საგნის დიდაქტიურ-პედაგოგიურ შესასწავლად ინსტიტუტში არსებობს შემდეგი კაბინეტები: 1,—ექსპერიმენტარული პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიისა, 2,—მათემატიკისა, 3,—გეოგრაფიისა, 4,—ფიზიკისა და ქიმიისა, 5,—ანატომიისა და ფიზიოლოგიისა, 6,—სასკოლო ხელოვნებათა, 7,—ბატანიკისა და ზოოლოგიისა და 8,—ისტორიისა.

11. ინსტიტუტს აქვს თავისი ბიბლიოთეკა და ხელგარჯილობის სახელოსნოები.

1919 წ. ივლისის 31 ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაწესებული საპედაგოგიო ინსტიტუტისა 1919—1920 წლ.

№ რიგზე.	თანამდებობის პირნი.	თანამ. პირთა რიცხვი.	წლიურ. თვითეულს.	წლიურ. ყველას.	შენიშვნა.
1	დირექტორს თანამდებობისათვის	1	9000	9000	
2	ლექციების 50 საათისათვის	—	900	45000	
3	კაბინეტების ხელმძღვანელთ	8	2400	19200	
4	ბიბლიოთეკის გამგეს	1	2400	2400	
5	საბჭოს მდივანს	1	1200	1200	
6	საქმის მწარმოებელს	1	6000	6000	
7	შენობის მოვლა	—	21000	21000	
8	დარაჯებს.	6	4200	25200	
	ჯამი .	—	—	129000	

1919 წ. ივლისის 31-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

არა ოფიციალური განყოფილება

მთავრობაში

23 აგვისტოს სხდომა.

სხდომას დაესწრენ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი ევ. გეგეჭკორი.

მინისტრები ბბ. კანდელაკი, ხომერიკი. სახელმწიფო კონტროლიორი ბ. გოგიჩაიშვილი. მინისტრთა ამხანაგები: ბბ. ჭიჭინაძე, ავალიანი, გედევანიშვილი, გელეიშვილი, საბახტარაშვილი, ერაძე. დეპარტამენტის დირექტორები ბბ. ჭიჭინაძე, ქოქოძე, საქმეთა მმართველი ბ. ჯაფარიძე, მდივნობა ბ. ლომთაძე.

ახალციხის ადმინისტრაციის შესანახათ.

მიეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სესხათ მილიონ ნახევარი (1.500.000) მანეთი სამხედრო ფონდიდან ახალციხე ახალქალაქის მაზრის ადმინისტრაციის შესანახათ.

სატეხნიკო თათბირის გაუქმება.

გაუქმებულ იქმნას ამა წლის 1 სექტემბრიდან შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული სატეხნიკო თათბირი თავის კანცელარიით; შტატ გარეშე დარჩენილ მოსამსახურეთ სალიკვიდაციო ჯილდო მიეცეთ არსებულ კანონისა და წესის მიხედვით. სატეხნიკო თათბირში დარჩენილ საქმეების გასაძღოლათ და რთულ სატეხნიკო საკითხების გასარჩევათ კი დაარსებულ იქმნას შინაგან საქმეთა სამინისტროსთან საგანგებო მინდობილებათა ინჟენერის ერთი თანამდებობა, რომელსაც დამხმარეთ მიეცეს ერთი ტეხნიკოსი. ყველა პრინციპიალური სატეხნიკო საკითხები შემდეგში უნდა სწყვეტდეს გზათა დეპარტამენტთან არსებულ საინჟინერო საბჭოში.

ტუსაღების გაქცევის შესახებ.

დუშეთის საპყრობილედან ტუსაღების გაქცევის გამო ადგილობრივ საქმეს გამოსაძიებლად გაიგზავნოს საგანგებო კომისია იუსტიციის და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების და ერთი გამომძიებლის შემადგენლობით. ეთხოვოს სახალხო გვარდიას შტაბს დუშეთის საპყრობილეს დროებით დაცვა დაავალოს ადგილობრივ გვარდიას.

სალიკვიდაციო ჯილდო.

გადაიდოს გზათა სამინისტროს გზა ტკეცილების სამმართველოს განკარგულებაში 20409 მან. 99 კ. ათ მილიონიან ფონდიდან შტატ გარეშე დატოვებულ მოსამსახურეთა სალიკვიდაციო ჯილდოთი დასაკმაყოფილებლად.

უარი სესხზე.

მოხსენება სახაზინო რკინის გზების სასურსათო კომიტეტისათვის მისი საშუალებათა გასაძლიერებლათ ხაზინიდან 6 მილიონი მანეთის სესხათ მიცემის შესახებ, უარყოფილ იქნას.

კრედიტების შესახებ.

დამტკიცებულ იქნას გზათა დეპარტამენტის მოხსენებაში (1919 წ. 1 აგვისტოს თარიღით № 60) ნაჩვენები ახალი განაწილება. ბიუჯეტის პროექტში შეტანილ ჯამისა და თვიური ასიგნ. ამ საჭიროებისათვის ეძლეოდეს გზათა დეპარტამენტს ახალი განაწილების თანახმათ.

სარევიზიო კომისიის წევრები.

სატრანსპორტო საზოგადოების სარევიზიო კომისიის წევრებათ დაინიშნონ: ინჟ. ვ. მაისურაძე, ვ. დემიდოვი, ვახტანგ ჟორდანია. მათ კანდიდატებათ ნ. ლეჟავა, ინჟ. ი ბერიძე ინჟ. ვ. კაკაბაძე.

ერობა.

დუშეთის ერობაში.

დუშეთის მაზრის ერობამ შემდეგი მოწოდება გამოაკრა მაზრაში:

მოქალაქენო! საქართველოს და მის დემოკრატიას დღიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებისა ათასი მტერი გაუჩნდა. შავი რეაქციის მოტრფიალეთ ვერ მოუნელებიათ ის, რომ ჩვენმა დემოკრატიამ შესძლო სწორი გეზის აღება და სამშობლოს გემის აბობოქრებულ ზღვიდან მშვიდობიანობის ნაპირს მიყვანა. მემამულეთა გულშემატკივარნი ვერ შერიგებიან ჩვენს გლეხ-კაცობას, რომელიც ეუფლება თავად-აზნაურობისაგან ჩამორთმეულ მიწებს. და აი, კიდეც შემოარტყეს ცეცხლის რკალი ჩვენს ქვეყანას. მაგრამ ჩვენი ხალხი უსიკვდილოთ არავის დაუთმობს თავის უფლებებს: ეს მან უკვე დაამტკიცა ახალციხის ბეგებთან და დენიკინის შავ ლაშქართან პირის-პირ შეგებებით. შავი მტრის დასამარცხებლათ ჩვენი სახელოვან ჯარის გმირულ თავგანწირვასთან ერთად საჭიროა ყველა მოქალაქის ამ საქმეში მხურვალე მონაწილეობის მიღება. თუ ჩვენ დავმალავთ დეზერტირებს, ხელს დავაფარებთ მათ და არ გავგზავნით იქით, საითაც მოუწოდებს განთავისუფლებული სამშობლო, შეუპოვარ მეომართა რწმენაც ფრონტზე შეირყევა, ბრძოლისათვის აღტყინებული ნებისყოფა მოდუნდება და... ვინ იტყვის რა უბედურების წინაშე შეიძლება დადგეს მთელი ჩვენი ერი, ჩვენი დემოკრატია. არაფერი არ გაუტეხს მეომრებს გულს ისე, როგორც მათ ტოლთა დეზერტირობა. ამას ანგარიში უნდა გაუწიოს ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია სამშობლოს თავისუფლება და კეთილდღეობა. ეს უნდა გაითვალისწინოს მრავალ-ტანჯულ გლეხკაცობამ, რომელსაც განუხორციელდა ოცნება: გადაიძრო მონობის მძიმე უღელი, გახდა სრულუფლებიანი მოქალაქე, ურიგდება მიწები და გამსჭვალულნი ერთი რწმენით უნდა დაეხმაროონ ადმინისტრაციას დეზერტირების (1896, 1897 და 1988 წლებში დაბადებულების) შეპყრობისა და ჯარში გაგზავნის საქმეში.

უკანასკნელი ვადა 1 სექტემბერია; ვინც ამ დრომდე არ დაბრუნდება ჯარში, ის როგორც მოღალატე და ორგული დაისჯება კანონით.

ოზურგეთის ერობაში.*)

21 ივლისს გაიხსნა ოზურგეთის მაზრის საერობო ხმოსანთა მეორე არა ჩვეულებრივი ყრილობა, რომელიც გაგრძელდა სამ დღეს.

თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ხმ. აფთ. ცინცაძე, მდივნად ხმ. ნიკ. წილოსანი. დაესწრო 20 ხმოსანი, მათ შორის ტფილისის ქალაქის თავი ბენ. ჩხიკვიშვილი და დამფ. კრების წევრი კ. ნინიძე.

კრების წესრიგი: 1) წერილი საერობო ერთეულთა გამოჭრის შესახებ, 2) მოხსენება ეკონომიურ განყ. მუშაობის შესახებ; 3) საადგილ-მამულო საკითხები; 4) ნატანებ. ოზურგ. რკინის გზა; 5) ნატანებ საჯევახოს შარა-გზა; 6) გათხრილ-აკანის გზები; 7) უმაღლეს დაწ. სასწავლებლების ბედი მომავალ აკადემიურ წელში; 8) მაზრაში საერობო აფთიაქების გახსნა; 9) მოსამსახურეთა ჯამაგირის მომატება; 10) გამგეობის თავმჯდომარის და საერობო ყრილობაზე დელეგატების არჩევა; 11 მიმდინარე კითხვები.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგ. წევრი ბ. გ. ბერეჟიანი, რომელიც დაწვრილებით აცნობს კრებას წვრილ ერთეულთა შემადგენლობას.

მოხსენების გარშემო იმართება კამათი.

ლაპარაკობს დვაბზუს საზ. წარმომად. ის. ბასილაიშვილი მოითხოვს ცხემლის ხიდის ერთეულის დამტკიცებას.

დიდი ხნის კამათის შემდეგ ყრილობამ მიღო ხმ. ჩხიკვიშვილისაგან წარმოდგენილი შემდეგი რეზოლიუცია: „ყრილობა აღიარებს რომ გადაჯგუფება იმ სოფლებში, სადაც არსებობს დავა, დასაშვებია, ხოლო ამ გადაჯგუფების ცხოვრებაში გატარება მიენდოს უკვე არსებულ წვრილ ერობებს გამგეობის კანტროლის ქვეშ, რაც შეეხება ახალ ერთეულების შექმნას, ყრილობა საჭიროთ სთვლის ჯერ-ჯერობით ეს საკითხი გადაეცეს შესასწავლათ წვრილ ერთეულთა კომისიას; გადაწყვეტამდე კი დარჩეს ძველი ერთეულები ძალაში“.

ნაგომრის შესახებ ყრილობამ დაადგინა: დამტკიცდეს ნაგომრის სამრეველო წვრილ საერობო ერთეულათ“.

წვრილ ერთეულთა საორგანიზაციო ხარჯების შესახებ ყრილობამ დადგინა: „გადაიდოს წვრილი-საერობო ერთეულთა-საორგანიზაციო ხარჯებისათვის 50.000 მ. ეს თანხა გამგეობამ გაანაწილოს ერთეულებზე პროპორციონალურათ საჭიროებისდა მიხედვით.

გამგეობას აგრეთვე ეძლევა უფლება დაიქირაოს წვრილ ერთეულთა საქმეების მოსაგვარებლად ინსტრუქტორები და საამისო ხარჯები წარმოუდგინოს მომავალ ყრილობას დასამტკიცებლად.

ერობის ეკონომიური ნაწილის მოწყობის შესახებ, მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი შილაკაძე. მომხსენებელი ვრცლად ეხება საკითხს და აცნობს ყრილობას თუ რა გააკეთა ჯერ-ჯერობით და რა მიზნები აქვს გამგეობას ამ დარგში.

დასასრულ უდგენს ყრილობას ახალ დამატებით ხარჯთ-აღრიცხვას, რაიც უდრის 1923266 მანეთს.

მოხსენების გარშემო იმართება კამათი, რომელშიდაც მონაწილეობას იღებენ: ჩაიკიშვილი, ღლონტი, ნინიძე და სხვები.

უკანასკნელად ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „ყრილობა იწონებს ვრცელ მოხსენებას, წაკითხულს გამგ. წევრის გ. შილაკის მიერ, როგორც უახლოესი მომავლის გამგეობისთვინ სამოქმედო გეგმას; რაც შეხება მის მიერ წარმოდგენილ მცირედ ხარჯთ-აღრიცხვას, რომელიც თხოულობს 425,502 მ. 22 კაპ. დამატებით გაღებას, ის ეხლავე დამტკიცდეს“.

მედიკო-სანიტარული განყოფილებიდან მოხსენებას აკეთებს გამ. თავმჯდ. გამგე ამ განბ. ცეცხლაძე. ის აცნობს ყრილობას თუ რა გაკეთდა ამ დარგში: არსებობს საერობო სავადმყოფო ოთხ ადგილას—ოზურგეთში, აკეთში, ლანჩხუთში და ჩოხატაურში; ოთხ ადგილასვე—არსებობს საფერშლო პუნქტები ბენია ქალებით, ფერშლები ჰყავთ სულ ყველა საზოგადოებებში, რამოდენიმე ადგილას მოაწყვეს საბეითლო პუნქტები, მოაწყვეს სამაზრო სააფთიაქო საწყობი, შეიძინეს დიდძალი პრეპარატები და სხვა.

მომხსენებელი სთხოვს ყრილობას დამატებითი ხარჯების გაღებას—თვითეულ აფთიაქზე 4900 მან. თვიურად და 100000 მან. ერთდროულად.

ყრილობა მოხსენებას უკამათოდ ღებულობს და წარმოდგენილ ხარჯთ-აღრიცხვას ამტკიცებს.

საადგილ-მამულო საქმეების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამ განყოფილების გამგე ბ. საბაშვილი. მომხსენებელი აცნობს ყრილობას თუ როგორ პირობებში სწარმოებს მუშაობა აგრარულ რეფორმების ცხოვრებაში გატარებაზე, აღნიშნავს; უკანასკნელად მომხსენებელი წინადადებას იძლევა, რომ მუშაობა არ შეჩერდეს, ერობამ ჯამაგირები მისცეს აგრარულ კომისიებში თითო წევრს და თვიურად დაიჭიროს ორ-ორი მუშა თვითეულ კომისიაში. ყრილობამ მცირე კამათისა და შეკითხვების შემდეგ მიიღო შემდეგი დადგენილება: „დაენიშნოს ჯამაგირი, თვეში 900 მ., საგრარიო კომისიების თითო წევრს 1 ივლისიდან, ამ ჯამაგირს მიიღებს მამულების მილების დროს საგრარიო კომისიის ის წევრი, რომელიც გაგზავნილი იქნება წარმომადგენლათ მიმღებს კომისიაში, ბინების დანაწულების დროს-კი საგრარიო კომ. თავმჯდომარე.

წინა სამ მუხლში აღნიშნულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებელი თანხა 121,000 მან., თანახმად წარმომადგენელი ხარჯთ აღრიცხვისა, გაღებული იქნას ამ თავიდანვე ერობის კასიდან, მთავრობის წინაშე-კი აღიძრას შუამდგომლობა, რომ ერობას ეზღოს ამ საქმეზე დახარჯული თანხა სახელმწიფო ხაზინიდან. იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა ამ ხარჯებს არ მიიღებს, გამგეობამ აიღოს დახარჯული ფული იმ პირთაგან, ვინც მიწას მიიღებს სახელმწიფო ფონდიდან.

გამოიცეს ყრილობის სახელით მოწოდება მცხოვრებთადმი, რათა მათ თავის სამოქალაქო ვალდებულებათ გაიხადონ, რომ ყოველმხრივ ხელი შეუწყონ საგრარიო კომისიებს მიწების მიღება განაწილების საქმეში და ნუ აყვებიან ბნელი ძალებისა და პროვოკატორების ჟიტაციას მიწის რეფორმის წინააღმდეგ“.

(დასასრული იქნება).

*) უადგილობის გამო ყრილობის ანგარიში დაგვიანებით იბეჭდება.

დღეს საქართველოს მწერალთა დღეობაა

თანამედროვე დემოკრატიის უფლება

§ 4.

საკანონმდებლო ხელისუფლების იურიდიული მდგომარეობა: სახალხო სუვერენიტეტი და საკანონმდებლო ხელისუფლება.

თანამედროვე დემოკრატიაშია საკანონმდებლო ხელისუფლების იურიდიული მდგომარეობა ორი მომენტით ირკვევა: მისი დამოკიდებულებით სახალხო სუვერენიტეტთან და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან.

I. პირველათ ყოველისა, რაც შეეხება პირველ დამოკიდებულებას, ჩვენ თვით სახალხო სუვერენიტეტის არსობა გვაიძულებს შევხედოთ ხალხს, როგორც სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტის, უზენაესობის მატარებელს. მართალია, რესპუბლიკანების მოძღვრება ჩვეულებრივ უფრო შორს მიდის და იურიდიულ-ლოიკურ შეცდომას სჩადის, როდესაც სახელმწიფოს ერთ მის ელემენტიდან არ ანსხვავებს ვითომდა იმიტომ, რომ ამ შეხედულებაშია თანამედროვე დემოკრატიის ფესვები (იხ. დიუგი). ამ მოძღვრების თანახმათ ხალხი, როგორც ასეთი,—არის არა მარტო სახელმწიფოს ორგანო, როგორც ეს აღიარებულია გერმანიაში გაბატონებულ თეორიის მიერ (ისკე, ცლინეკი და სხ.), არამედ ამასთან ერთად სახელმწიფოსგან განსხვავებული სახე განსაკუთრებული უფლებებით, რომელნიც მხოლოდ ხალხს ეკუთვნიან. ეს ხალხი, წარმოდგენილი როგორც იურიდიული პიროვნება, ფლობს პირველდასაწყის და განუყოფელ უზენაესობას, როგორც ეს აღიარებულია საფრანგეთში 1789 წლის ადამიანის უფლებათა დეკლარაციის მესამე მუხლში ან პირველ მუხლში titre კონსტიტუციისა 1791 წ. „სუვერენიტეტი ერთია, განუყოფელია და განუშორებელია. იგი ეკუთვნის მხოლოდ ხალხს". ეს დებულება ცხადათაა გამოხატული ცალკებრივ ამერიკულ შტატების და კანტონების უმრავლეს კონსტიტუციაში (გარდა ნიუ-იორკისა, ილლინოისი, ბიჩიგანისა, ვისკონსინისა, ნებრასკისა და მისსისიპისა), მაგრამ იგი სძევს იმ კონსტიტუციების საფუძალათაც, სადაც იგი შესავალში არაა გამოცხადებული. იქიდან გამოდის, რომ ყველა უმაღლეს და უმდაბლეს სახელმწიფოებრივ ორგანოებს შეუძლიათ სუვერენულ ხალხის მიმართ მხოლოდ ორგვარი იურიდიული მდგომარეობა დაიკავონ: ან ისინი არიან ხალხის წარმომადგენლები და ეს მაშინ, როდესაც მათი ნება წარმოადგენს ხალხის ნებას: ასე მაგალითად, მუხ. 2 titre III საფრანგეთის კონსტიტუციისა 1791 წ. ამბობს: „ხალხს, ერთად ერთ რომლისგანაც გამომოდინარეობენ ყველა ხელისუფლებანი, შეუძლია ისინი განახორციელოს მხოლოდ დელეგაციის საშულებით". ამერიკელ ზოგიერთ შტატების საჯარო ფორმულა ამბობს: „სახელმწიფოს ხალხი... წარმოდგენილი სენატში და პალატაში... ადგენს შემდეგს..."

ან ისინი არიან მხოლოდ აგენტები, ესე იგი სახალხო ნების აღმასრულებელნი. თანამედროვე დემოკრატიაში ჩვეულებრივი საკანონმდებლო ხელისუფლება სახელმწიფოებრივ ორგანოს სახით შეიძლება იყოს ან ისეთი, ან ასეთი. წარმომადგენლობითი დემოკრატიაში (ესე იგი დემოკრატიაში ხელისუფლების განაწილებითურთ და პარლამენტარულში) საკანონმდებლო ხელისუფლება არის ხალხის წარმომადგენელი. უკვე „Agreement of the People" (ინგლისური რედაქცია) მე 14 § იძლევა ფორმულას: „წარმომადგენლობითი დემოკრატიაში საკანონმდებლო ხელისუფლების იურიდიული მდგომარეობის შესახებ: «ხელისუფლება ამისა და ყველა მომავალ წარმომადგენლობისა (წაიკითხე: საკანონმდებლო ხელისუფლებათა) მცირეა მის ამომრჩეველთა ხელისუფლებაზე და რომელიმე პირისაგან თანხმობის ან შეწყების მოუთხოვნელათ, ვრცელდება თანამდებობათა დაარსებაზე და გაუქმებაზე...» პარლამენტში შეტანილი „Agreement" ის შესაფერი მე 8 § ამბობს: „რომ წარმომადგენელნი სარგებლობდენ—და უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი სარგებლობენ—უმაღლესი ნდობით ყველაფრის დაცვა—მმართველობაში". კამათის დროს კრომველი ამბობს: „რომ საფუძველი და უზენაესობა ფესვგადგმულია ხალხის მიერ მის წარმომადგელობაში".

უმეშვეო დემოკრატიაში საკანონმდებლო ხელისუფლება არა ნაკლებაა ხალხის წარმომადგენელი.

ხარისხი საკანტროლო ზომათა, რომელნიც ზედ აწევს საკონონმდებლო ხელისუფლებას ხალხის ანუ მნდობელის ინტერესების დაცვისთვის, სხვა და სხვაა, იგი შეიძლება იყოს ხან უფრო, ხან ნაკლებ ინტენსიური.

ხალხის ამ კონტროლიდან, ხალხის უმაღლეს ორგანოების, როგორც მისი რწმუნებულების მნდობლის სახით, გამომდინარეობს, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება არ არის ყოვლისშემძლე, როგორც ესაა მონარქიაში. 1791 წ. საფრანგეთის კონსტიტუციის დებულების titre I, § 3 ამბობს: „საკანონმდებლო ხელისუფლებას არ შეუძლია გამოსცეს კანონები, როელნიც ზიანს მიაყენებდენ ან ბუნებრივ და მოქალაქეობრივ უფლებათა განხორციელებას ხელს შეუშლიდენ". და ეს დებულება მოქმედებს სხვა დემოკრატიებშიც. ძირითადი უფლება და თავისუფლების თავისუფლება კანონმდებელისთვის არის აღვირი. ყველაფერი ეს დემოკრატიისთვის უკვე იურიდიული დოგმაა და თავისი ცნობა-აღიარება მან პირველად მიიღო 8 § „Agreement of the People". მართალია, პარლამენტარულ დემოკრატიაში ეს დებულება არის მხოლოდ lex imperfecta, ადგან სასამართლოები არ ეხმარებიან ცხოვრებაში მის გატარებას. მაინც იგი მოქმედებს აქაც და ამიტომაც დემოკრატიის კანონმდებელი მონარქიის კანონმდებელთან შედარებით არაა ყოვლად შემძლე.

მონარქიაში და დემოკრატიაში საკანონმდებლო ხელისუფლების მდგომარეობის შორის მეორე საგრძნობი განსხვავება ის, რომ დემოკრატიაში საკანონმდებლო ხელისუფლება აღიარებულია არა როგორც სახელმწიფოს ორგანო, არამედ როგორც ხალხის რწმუნებული. ხალხი და საკანონმდებლო ხელისფლება, pouvoir Lègislatif, აღჭურვილნი არიან იურიდიული პიროვნების თვისებებით იმიტომ, რომ მოაწესრიგონ მათი ურთიერთი დამოკიდებულება. ამასთან ერთად სახელმწიფოსთვის, როგორც იურიდიული პიროვნებისათვის აღარ რჩება მეტი ადგილი და ამგვარად ფრანგულ ფრიად ჰოპულიარულ თეორიის თანახმად—სახელმწიფოებრივი ტერიტორიალური კორპორაცია გარდიქმნება იმ იურიდიულ დამოკიდებულებათა ერთიულებათ, რომელნიც არსებობენ სახელმწიფოებრივ ორგანოთა და ხალხს შორისა, ცალკებრივ სახელმწიფოებრივ ორგანოებს, მათ შორის და მართველების შორის (დიუგე). როგორც განსხვავების რეზულტატი ჩვენ უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: "თანამედროვე მონარქიაში" საკანონმდებლო ხელისუფლება არის სახელმწიფოს ყოვლად შემძლე ორგანო; თანამედროვე დემოკრატიაში ეს ხელისუფლება არის წარმოდგენილი—რწმუნებული ხალხისა, რომლის ხელისუფლება მიდის ისე შორს, როგორც მისი რწმუნებულობა.

უცხოეთში

(საქ. დეპ. საგ.).

აგვისტოს 27.

მოსკოვი. აგვ. 26. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი.

მოსკოვი. აგვ. 18. ციმბირში მიუხედავათ საშინელი ტერორისა ძალიან განვითარდა აგიტაცია საბჭოთა მთავრობის სასარგებლოდ. ომსკის სამხედრო ოლქის მთავარსარდლის მანიკოვსკის ბრძანებაში ნათქვამია: „წინადადებას ვიძლევი დახვრიტოთ ყველა, ვინც ბოლშევიკების ორგანიზაციაში ჩაწერას მოუწოდებს. იცოდეთ რომ ვინც იცნობს დამნაშავეს და არ მოკლავს მას, თვითონ იქცევა დამნაშავედ. სამხედრო პირები პოლიტიკაში არ უნდა ერეოდენ, ამისთვის გენერლებსაც კი ჯარის კაცის ღირსებაში ჩამოიყვანენ".

სამარა, აგვ. 18. გადმოსულთა სიტყვით, თეთრ არმიას სრულიად არ მოეპოვება თამბაქო და ჩაი. რამდენიმე თვეა, რაც ყაზახებს ჯამაგირი არ მიუღიათ. ურალის და ორენბურგის ყაზახებს შეტაკება მოსდით ერთმანეთთან. ურალის ყაზახები იარაღით აიძულებენ ორენბურგის ყაზახებს წითლებთან საბრძოლველად. ორენბურგის ყაზახები საბჭოთა მთავრობასთან შერიგების მომხრე არიან. ერთი სამხედრო ნაწილის თათბირზე გადასწყვიტეს 30—40 კაცი, ჯგუფ-ჯგუფად გადმოვიდეს ჩვენ მხარეზე.

კირსანოვი, აგვ 20. თეთრ-გვარდიელთა გაზ. „ნედელიმაია როსია" ს ცნობით, ცარიცინის ბურჟუაზიას იმედი არა აქვს, რომ დენიკინელები ქალაქში დიდ ხანს დარჩებიან, საჩქაროდ ყიდის ყველაფერს და გასაქცევად ემზადება.

მოწოდება

სრულიად საქართველოს რესპუბლიკის სახალხო სკოლების მასწავლებელთა მიმართ.

შორაპნის მაზრის სახალხო სკოლების მასწავლებლებმა მიმდინარე წლის 20 ივლისის საერთო ყრილობაზე გაითვალისწინეს რა მნიშვნელობა სრულიად საქართველოს რესპუბლიკის სახალხო სკოლების მასწავლებელთა კავშირისა, უსაჭიროესად სცნეს ახლო მომავალში დაარსდეს ასეთი კავშირი, რისთვისაც შორ. მაზ. სახ. სკ. მასწ. კავშირის გამგეობა მოგიწოდებთ თქვენ, ამხანაგებო, რათა საქ. რესპუბლიკის ყველა მაზრებში და ოლქებში მოახდინოთ, რაც შეიძლება დაჩქარებით, საერთო ყრილობები და დაიარსოთ სამაზრო და საოლქო კავშირები სადაც ჯერ ასეთები არ არსებობენ. და ამგრეთვე ყველამ აირჩიოს ყოველ 50 თ კაცზე თითო დელეგატი სრულიად საქართველოს სახ. სკ. მასწ. მომავალ კრებაზე დასასწრებლათ, რომელიც უნდა მოხდეს ტფილისში. შორაპნის მაზრის მასწავლებლებმა დელეგატებად უკვე აირჩიეს შემდეგი ხუთი კაცი:

1) ანთელიძე გიორგი,
2) მეტრეველი პავლე,
3) ჭანიშვილი პარმენი,
4) კაპანაძე იასონი და
5) ხარშილაძე ლავრენტი

შორაპნის მაზრის სახალხო მასწავლებელთა კავშირის გამგეობა.

ცოტა რამ გადასახადთა ინსპექტორების ნივთიერ მდგომარეობაზე.

მდგომარეობა, რომელსაც განიცდის დღეს ჩვენი ნორჩი, ახლად ფეხადგმული და ირგვლივ მტრებისგან შემოფარგული რესპუბლიკა, ავალებს ყოველ მოქალაქეს, ასე თუ ისე საზოგადოების სამსახურში შებმულს, მოიკრიბოს თავისი უკანასკნელი ძალა საზოგადო საქმის სასარგებლოდ თავის წვლილის შესატანად. ჩვენი სახელმწიფოს ფინანსიური მდგომარეობა, მეტს ითხოვს იმ ორგანოებისაგან, რომელზედაც დამოკიდებულია მისი ყოფნა არ ყოფნის საკითხი. ამ ორგანოების ერთ უმთავრეს ძარღვად თამამად შეგვიძლია ჩავთვალოთ გადასახადთა ინსპექტორების ინსტიტუტი, რომლის შრომის უნარი, სპეტაკი ზნეობა და მოვალეობის პირნათლად შესრულება ცნობილი იყო იმ წესწყობილების დროსაც, როდესაც ამ ინსტიტუტს უნდობლობის თვალით უყურებდენ, როგორც პოლიტიკურად არა საიმედო ელემენტს.

გადასახადთა ინსპექტორები აღჭურვილნი განსაზღრული უფლებებით და კომპეტენციებით არიან სრულუფლებიანი წარმომადგენელნი საფინანსო უწყებისა თავიანთ ნაწილებში, ისინი იცავენ არა მარტო სახელმწიფო ხაზინის ინტერესებს არამედ მცხოვრებლებისაც. ისინი დგანან სახელმწიფოს შემოსავლის სათავეში და მიუხედავად ასეთი მათი მდგომარეობისა გადასახადთა ინსპექტორებს შეუძლიან იამაყონ იმით, რომ მათი ზნეობრივი ფიზიონომია ყოფილ რუსეთის იმპერიაში არ შებღალულა. დღესაც კი, როდესაც ჩვენს რესპუბლიკაში მექრთამეობა და სახელმწიფო ქონების ცარცვა-გლეჯა მეტათ გახშირდა არავის შეუძლია ეჭვიც შეიტანოს იმაში რომ გადასახადთა ინსპექტორებს თანიანთ ტრადიციისათვის ელალატნოს, თუ ცოტა მათი მდგომარეობა დღეს [illegible] ტალ [illegible] [illegible] აუტანელია.

ჩვენი სამსახური არ ისაზღვრება საათობით ჩვენ გვიხდება, სამუშაოს ვადიანობის გამო, ხშირად თუ მთელი წელი არა 9 თვე მაინც, დღეში 12 საათი მუშაობა. ყოველ გადასახადთა ინსპექტორს, თუ დღევანდელი მდგომარეობის გამო განონაკლისს არ შეადგენს ზოგიერთი გადასახადთა ინსპექტორი, კანცელარია აქვს თავის შინასთან და ის სადილობამდის გართულია მთხოვნელებთან ახსნა განმარტებაში, მხოლოდ საღამოს შოულობს თავისუფალ დროს. სამსახურის საქმეებით დატვირთული მოხელე უთუოდ უნდა იყოს ყოველ დღიურ. ჭირ-ვარამზედ ზრუნვიდან თავისუფალი, მაგრამ გადასახადთა ინსპექტორების უმწეო მდგომარეობამ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა.

დღევანდელი ჩვენი ჯამაგირები გვყოფნის მხოლოდ 7—8 დღეს დანარჩენი დღეები კი უნდა ვიცხოვროთ ვალით თუ კი ვინმე გვენდობა ან თუ რამე დაგვრჩენია ვყიდით მაგრამ როდესაც გასაყიდიც ჯამოილევა და ნდობაც დაგვეკარგება მაშინ კი არ ვიცი რა გზას ავირჩევთ.

როგორ შეუძლია იმუშაოს გულდასმით იმ გადასახადთა ინსპექტორმა, რომელიც იმაზე ფიქრობს, თუ სად იშოვოს ჭადის ფული, რომ სახლში მისულს ბალღის შეხედვამ გული არ მოუკლას. მოსამსახურის დაქირავების შეუძლებლობის გამო თვით უნდა ირბინოს ბაზარში და იქ უნდა ეძიოს აბა ვინ და სად უფრო იაფად მისცეს, რომ მეორე დღისათვის ცოტა რამ ეკონომია გასწიოს. ასეთ პირობებში ყოფნა მავნებელია არა მარტო ჩვენთვის პირადად, არამედ სახელმწიფოსათვისაც, რადგანაც ასეთი მდგომარეობა ბუნებრივად იწვევს მოვალეობისადმი გულგრილობას. კარგია სამსახური იდეისათვის, მაგრამ როცა საქმე არსებობისათვის საჭირო პურის ძებნამდის მივა, მაშინ თავგანწირული მებრძოლიც კი იძულებული ხდება გვერდი აუხვიოს მის წმინდა იდეებს და ყოველ-დღიურ ჭირ-ვარამში გაებას.

კანცელარიისათვის გასაწევი ხარჯები სრულიად არ შეეფერება იმ ჯამს, რომელსაც ვღებულობთ დღეს. 900 მან. წელიწადში ეს ძხოლოდ ქალალდის ფულია და ისიც მდაბე ქალალდის, 7 ნომრის, მაგრამ ქალალდის გარდა კიდევ ბევრი რამ გვჭირია, კალმები, მელანი, კარანდაშები, კონვერტები, შემოსულგასულ ქალალდების ჩასაწერი წიგნები, გადაკინძვა, წვრიმალი ტიპოგრაფიული გასავალი, ტელეფონის გადასახადი და სხვა ბევრი რამ რომლის ჩამოწერამ მიუხედავად დიდი ეკონომიისა 6500 მან. მოგვცა წელიწადში. ქალაქის გადასახადთა ინსპექტორებს საჭიროა მიეცეს წელიწადში საგზაოდ 1200 მან. მაინც.

ბინა, განათება და გათბობა თხოულობს წელიწადში უკანასკნელ 4800 მან. ვინაიდან ყველამ კარგათ იცის თუ რა მიუწდომელი ფასებია დღეს ბინაზედ და შეშაზედ.

ჩვენი სამსახური არის უკარიერო და ამის გამო გამოცდილი პირები რომ დაინტერესებული იყვნენ და სამსახური არ მიატოვონ ამის გამო ყოველი ხუთი წლის სამსახურისათვის 15 წლის განმავლობაში გვაძლევენ ერთი მეთუთხმეტედს ჯამაგირისას, რომელიც თუთხმეტი წლის შემდეგ ხდება ჯამაგირის ერთი მეხუთედი, საჭიროა რომ ეს ხუთი წლიური შეფარდებული იყოს დღევანდელ ჯამაგირებთან.

ტფ. მაზ. გად. ინსპექტორი ვ. ლილუა.

მუშათა შორის

ტფილისი. (ცოტა რამ რესპუბლიკის საბარგო და საავეჯო ნივთთ საწყობის შესახებ).

მოგეხსენებათ, რომ ასეთი დაწესებულება ფრიად მნიშვნელოვანია ყოველგვარ სახელწიფოებრივი ერთიულისათვის და, ყოველ ეჭვს გარეშეა ის, რომ მას გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, დღევანდელ საერთაშორისოდ შექმნილ არანორმალურ ცხოვრების

პირობების და მიხედვით, ჩვენი ნორჩი რეს-პუბლიკისათვის. ის არის ისეთი წყარო, რომელიც აკმაყოფილებს იმ ძალის, თითქმის, ყოველგვარ მოთხოვნილებებს, რომელსაც აწევს მთელი სიმძიმე, რათა ჩვენმა ერმა შეინარჩუნოს და განამტკიცოს, მისთვის დიდი ხნის საოცნებო, საქმე,—მთლიანი სახე და სიხლით მოპოებული თავისუფლება.

ამიტომ ვრაცხ ჩემს თავს მოვალედ, შეძლებისა დაგვარად, გაუზიარო ფართე საზოგადოებას ჩემი აზრი ხსენებული დაწესებულების შესახებ.

დავიწყებ იქიდან თუ რას წარმოადგენს ის ახლა. მას, თავის განყოფილებებითურთ, $^1/_4$ კვ. ვერსის მეტი სივრცე უჭირავს, რომელზედაც ჩამწკრივებულია მრავალი დიდი და პატარა შენობები. ეს შენობები, თითქმის ყველა, სავსეა ჯარისათვის საჭირო ნივთებით, რომელთა ღირებულების რაოდენობა განისაზღვრება რამოდენიმე ასეული მილიონი მან. ყველასათვის ცხადია რომ ეს ნივთები საჭიროებენ მოვლა-პატრონობას და, ამ მიზნით, აქ და მის განყოფილებებში, დანიშნულ პირთა რიცხვი ორას აღწევს; ამიდან 86 მუშაა და დანარჩენი კი აფიცრებ-მოხელეებისა, მწერლებისა და დარაჯებისაგან შესდგება.

მიუხედავად მუშათა რიცხვის ამ რაოდენობისა, საწყობი ხშირად საჭიროებს მათი რიცხვის გადიდებას დღიურად დაქირავებულ მუშების შემატებით. რატომ ხდება ეს? აი რატომ: ნივთები რომ არ გაფუჭდეს მათ უნდა დრო-გამოშვებით გამზეურება, შეშხაპუნება წამლებით და სხვაც. ეს კი დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს, რადგან ნივთების რიცხვი მილიონებით ითვლება. ხშირია აგრეთვე საწყობში ნივთების შემოზიდვა, როგორც მაგ. გორის განყოფილებიდან მთელი ქონების აქ გადმოზიდვა, რომელიც რამოდენიმე თვეა დაიწყო, მაგრამ მიუხედავად მუშების თავგაწირული შრომისა, ჯერ ნახევარიც არ არის შესრულებული. იშვიათი არ-არის აგრეთვე ჯარის ნაწილებისთვის ნივთების გაზიდვა, რომელსაც დრო და შრომა უნდა. ზემოხსენებული გვმრწმუნებს, რომ საწყოეში დიდი სამუშაოა და, ვინაიდან ეს ასეა, ამაზედ უნდა მიექციათ ყურადღება შტატის შემცირების დროს იმათ, ვისაც უკანასკნელის შესრულება ვალად ედო. მაგრამ როგორც სჩანს, აწ უკვე მიღებული ცნობებიდან, შტატი მთელს საწყობში უნდა შემცირდეს 36 დღის, დანარჩენი მოსამსახურენი დათხოვნილ უნდა იქნან სამსახურიდან; ეს შემთხვევა მოხსენებულ პირობების უყურადღების და წინდაუხედველობის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს, რადგან ამ გეგმით რომ საწყობში შტატი შემცირდეს რჩება მუშა მხოლოდ 15 კაცი, რომელთა შრომა ოდნავადაც ვერ დააკმაყოფილებს იმას, რასაც მათ მოსთხოვს საწყობი და შეჩერებას ვერ ითმენს. ამიტომ შტატის შემცირებისათანავე აუცილებლად თავს იჩენს საჭიროება მის ისევ გადიდებისა, რაიც უდაოდ უნდა შესრულებულ იქნას. მაშასადამე უფრო მიზან შეწონილი იქნება რომ საჭირო შტატი აქედანვე დარჩეს, ვიდრე ეს შემდეგ შემცირებისა ისევ გადიდდეს, რადგან ხაზინა აიცდენს რამოდენიმე ასეულ ათას მან. სრულიად უნაყოფოდ გაღებას. შემდეგ ამისა ;მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო იმას, რომ გასულ წლის ივნისიდან საწყობის უფროსად დაინიშნა პოლკ. თუშმალაშვილი. მის წინამოადგილე კოზლოვიდან მაზედ გადმოცემული დაწესებულება წარმოადგენდა უფსკრულს ანარქიისას: აუწერელი უწესობა, ქურდობა და მტრობა იმ რუს ოფიცრობა-მოხელეთა და მუშათა ჯგუფისაგან, რომელთა ხელში იყო მაშინ საწყობი. ისინი, ჩვენი რესპუბლიკის მიმართ, შურის ძიებით აღსავსენი, სრული განადგურებისკენ მიაქანებდენ საწყობის არსებობას. მოექცა თუ არა ამ დაწესებულების სათავეში პოლკ. თუშმალაშვილმა, როგორც ნამდვილი მოყვარულმა თავისი ერის და სამშობლოს, ზედმიწევნით პატიოსანმა და სინდისით აღჭურვილმა, ამასთან რკინის ნებით დაჯილდოებულმა პიროვნებამ, სწრაფად შეამჩნია, ეს ჩვენი საწინააღმდეგოდ მომართული შეთქმულება მაშინდელ საწყობის რუს მოსამსახურეთა, დაიწყო განწმედა მისი ამ მავნე ელემენტებისაგან და გაწმინდა კიდეც.

შემდეგ ამისა მის მთავარ საზრუნავ საგანს შეადგენდა საწყობში ქურდობის ძირიანად აღმოფხრა; მის ამ მხრივ გადადგმულ ნაბიჯს უნაყოფოდ არ ჩაუვლია. თითქმის ყველა შემთხვევაში ქურდობა აღმოჩენილ იქნა და საქმე გადაეცა სათანადო სასამართლოს. იყო შემთხვევა გასული წლის ნოემბრის 23 ს, რომ ვიღაც ტუსკიამ ინება მობრძანება საწყობში ყალბი საბუთებით აუარებელი ნივთების მისაღებად, მაგრამ თუშმალაშვილმა შეამჩნია მას ბოროტი განზრახვა, დაატყვევა და საქმე სასამართლოს გადასცა. ასე რომ ამ დაწესებულების სათავეში პოლკ. თუშმალაშვილი თავის დროზედ, დაუღალავი შრომით, უმწიკვლო პატიოსნებით და სინდისით, აგრეთვე ნების ყოფის სიმტკიცით, არ მოქცეოდა ეხლა საწყობის სახელი-ღა იქნებოდა დარჩენილი და მეტი არაფერი. მიუხედავად ამისა, ყველა მისი თანამშრომლების განსაცვიფრებლად, ის გადაიყვანეს ისეთ თანამდებობაზედ, რომელიც პირველთან შედარებით დაბლა დგას ღირსებით. ეს, როგორც ყველანი დაინახავთ, ნაყოფია მისდამი მიმართულ დაუმსახურებელი უკმაყოფილებით. მას, საწყობის ყველა მუშების აზრით დამცირება კი არა, თანამდებობაში აღმატება ეკუთნოდა. ასეთი დაფასება მას, როგორც საზოგადოდ ყველას, აგრძნობინებდა ერთგვარ სიამოვნებას და შემდეგისათვის გაორკეცებული ენერგიით და გულმოდგინებით შეასრულებდა მოვალეობას.

საწყობის მუშათა საერთო კრების მონდობილობით იასონ ბართაია.

სხვა და სხვა.

დღეს, აგვისტოს 28-ს ქართული კლუბის საზაფხულო შენობაში, გაიმართება სრულიად საქართველოს მწერალთა დღეობა, პროგრამა თავისებურია და ლამაზი. გამოვიდა ერთ დღიური საგანგებო გაზეთი „სიტყვა ქართული“. მომწყობმა კომისიამ ბევრი მიიღო შემოწირულება როგორც ფულათ, აგრეთვე საჩოვაგით. საგანგებოდ ამ დღეობისათვის მრავალად არიან ჩამოსულნი პროვინციებიდან.

✦ როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპეშით ატყობინებენ ქუთაისის მაზრაში მოუკლავთ ცნობილი ყიჩაღი მორჩაძე.

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

ქ. ტფილისის მე-7 სამომრიგებლო უბნის მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ლევან სოლომონის ძე მელიკიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება მელიკიანცის ქონებაზე სამოქ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1147 1—1

დავკარგე 25 აგვისტოს 1919 წ. მატარებელ № 20 ვაგონში № 3039 წიგნი „არაორგანიული ქიმია“, რვეულები და სამსახურის სხვა და სხვა საბუთები. მპოვნელს ვსთხოვ მისთვის გამოუსადეგარი ნივთები დამიბრუნოს შემდეგი მისამართით: ვერა, 1 ლი დუშეთის შესახვევი № 12 ალექსანდრე ფურცელაძეს.

რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოს ამა წლის 16 აგვისტოს დადგენილებით თანახმად სამხედრო სამოსამართლოს წესდების 953 მუხ. ეძებს შორაპნის მაზრის სოფელ კვალითის მცხოვრებს სანაპირო რაზმის ჯარის-კაცს ონიფანტე ბაბუნაშვილს, რომელსაც ბრალი ედება I ნაწ. 128 და 133 მუხ. XXII წიგ. ს. დ. კ. 1869 წ. მე 4 გამოცემით. ყველა, ვინც იცის სად იმყოფება ბაბუნაშვილი ვალდებულია განუცხადოს სამხედრო სასამართლოს, რომელიც იმყოფება ქ. ტფილისში, ოლოლას ქუჩა № 48. 1489 1—1

ოლოლი თამარა მიხეილის ასული ვაშაკიძე აცხადებს, რომ მის სასარგებლოდ, დიდუბეში, ივნისს, 24 ს მოწაფეების მიერ გამართულ საღამოზე, რომლის დიასახლისათ იყო ანა ლომაძე, ფული არ მიუღია. 1199 1—1

ქუთაისის სახალხო მილიციის სამმართველო, თანახმად გრიგოლ ნესტორის ძე აკოფოვის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს უვადო „ბაშფორთი“, მიცემული ქუთაისის სახალხო მილიციის სამმართველოდან 1917 წელს № 113 სთხოვს მხახველებს აღნიშნული ბაშფორთისას წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლად კუთვნილებისამებრ. 1495 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 22 ივლისს 1919 წ. დამტკიცდა ივნისის 14 დღესა შესრულებული ნაყიდობა მიცემული მოქ. პასიკო როსტომის ასული გაბუნიას მიერ—მოწ.—ბარდლა ნესტორის ძე ფულარიასადმი, ნაკვეთი მიწის—მდებარე ქალაქ. ახალ-სენაკში, ზემო ფიცუს ქუჩაზე შუაგულ ქალაქში, შენობებით, ზომით 100 კ. საჟ. 2000 მანეთად. სიმტკიცის ბაჟი გადახდილია 80 მან. მთავარი ამონაწერი 20 მან. ღირბის ქალაღდზე მიცემულია.

1355 1—1

რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლო ამა წლის 13 აგვისტოს დადგენილებით თანახმად სამხედრო სასამართლოს წესდების 953 მუხ. ეძებს ახალციხის მაზრის სოფელ ზველის მცხოვრებს მე 9 მსროლელ გუნდის ჯარის-კაცს დიანოზ თევდორეს ძეს დიასამიძეს 20 წლის, და იმავე რაზმის სოფელ ტოლოშის მცხოვრებს იმავე გუნდის უმცროს უნტერ-ოფიცერს ბაგრატ ლაზარეს ძე მელიქიძეს 20 წლისას, მე 4 გამოცემით. ყველა, ვინც იცის სად იმყოფებიან დასახელებულნი დიასამიძე და მელიქაძე ვალდებულია განუცხადოს სამხედრო სასამართლოს, რომელიც იმყოფება ქ. ტფილისში ოლოლას ქუჩა № 10.

1489 1—1

ტფილ. მილიციის უფროსი აცხადებს, რომ რომან ივანეს ძე ზვოლსკიმ განაცხადა, უვადო პასპორტის დაკარგვა მიცემული ტფილისის პოლიცმეისტრის მიერ 21 აპრილს 1907 წ. № 3782, პოლონეთის პასპორტი 27 დეკემბერს 1918 წ. მიღებული, ოტსტავკის მოწმობა, მეტრიკული მოწმობა და ორი ლომბარდის ბილეთი №№ 495 და 725. მპოვნელი ხსენებულ საბუთებისა მოვალეა წარუდგინოს მილიციის სამმართველოს. 3—1

ქუთაისის სახალხო მილიციის სამმართველო თანახმად ნესტორ დავითის ძე კვიჟინაძის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს უვადო ბილეთი მიცემული ქუთაისის სახალხო მილიციის სამმართველოდან, სთხოვს მნახველს აღნიშნული ბილეთისას წარმოადგინოს მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლად კუთვნილებისამებრ. 1496 1—1

პორ. ოქროპირ ბატონიას ძე ჯანჯღავა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა რევოლვერის (ბრაუნინგის სისტემის) ტარების ნებართვა, № 509, პირადობის მოწმობა № 503, მიცემული საგუბერნიო ბათუმის უფროსისაგან. ამბუ თები გამათავისუფლათ ანგარიშგებისაგან.

რაფაელ ისრაილის ძე ბუზიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ორი ვექსილი სულ 4000 მან. ანდრია პავლეს ძე და ოლლა დავითის ასული კოსტავების მიერ ხელ მოწერილი, სამი ვექსილი სულ 4000 მან. შაფათა ჩიკვაშვილის მიერ ხელმოწერილი და ერთი ვექსილი 600 მ. ვასილი ნიკოლოზ გრიგოლისძე კლდიაშვილების მიერ ხელ მოწერილი. ვექსილები გაუქმებულათ ჩაითვალოს

1176 3—3

ილარიონ ბესარიონის ძე ეძგვერაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა აღმასრულებელი ფურცელი, მიღებული ქ. ტფილისის I უბნის მომრიგებელ მოსამართლისგან 1919 წ. აგვისტოს 9, № 401, რომლის ძალით ეძგვერაძეს სასარგებლოდ უნდა ჩამორთმეოდა სერგო ბუაჩიძის მემკვიდრეებს 1004 მან. 1167 3—2

ვექილობა მიცემული იოსებ მოსეს ძე მინინაშვილს და პილხაზ მანუახის ძე ფიჩხაძის მიერ მიხეილ მიხეილის ძე ადასკოზე და შედგენილი ბათომის ნოტარიუს ხიტოროვ-ბესტავაშვილთან 1919 წ. ივლისის 16, რეესტრი № 1856, გაუქმებულია. 1196 3—2

ნიკოლოზ მიხეილის ძე იონორაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების ბილეთი მიღებული სამხედრო სასწავლებლიდან. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1207 3—2

აბრამ დავითის ძე კოგანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული 1918 წ. ივლისში და მინდობილობის ბარათი მიცემული დ. ს. ბერკოვიჩის მიერ კოგანის სახელზე.

1198 3—2

სურენ კარაპეტის ძე კასპარიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სიმწიფის მოწმობა № 415, მიღებული ტფილისის მეოთხე გიმნაზიის კანცელარიიდან 1913 წ-ლს, რაც გაუქმებულად ჩაითვალოს. 369 3—2

ე. რადომსკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა „ნაკლადნოები“ სამგზავრო მატარ. ტფილისის ბაქო, №№ 59143, 59144, 59145, 59146, 59147 25/VI 1919 წ. რაც გაუქმებულათ ითვლება.

მოლითხოვეთ და იხმარეთ შეშის მაგიერ ქვა-ნახშირი

ქვა-ნახშირს ორჯელ მეტი სითბო აქვს ვინემ საუკეთესო შეშას, იაფათ ჯდება. იწვება სოველგვარ ქვემო საბერვიან გერმეტიულ ფეჩებში და სამზარეულო ჰლიტებში. საგრძნობელ ეკონომიას წარმოადგენს კერძო ოჯახებისათვის, ხოლო განსაკუთრებულს სასწავლებლებისათვის, სასტუმროებისათვის, რესტორანებისათვის და სხვა და სხვა სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებებისათვის. აგრეთვე გვაქვს სამეიდლოებისათვის **საგანგებოთ დამზადებული ნახშირი და დიდძალი კირი**, საუკეთესო ხარისხის და ხელმისაწვდომ ფასებში. საწყობები გვაქვს ბათუმში, ფოთში, სამტრედიაში, ქუთაისში, გორში, ტფილისში, ერევანში, ბაქოში და სხვა ქალაქებში. დაკვეთა შეიძლება დიდ პარტიობით და წვრილ-წვრილადაც. ყოველგვარ ცნობების და შეკითხვის მისამართი: ტფილისში, გრიბოედოვის ქ. № 6. ტელ. № 11—45. საწყობი ქვა ნახშირისა: დიდუბე, ფოთის ქუჩა, ქალაქის შეშის საწყობის ეზოში.

15—8 1140 „ტყიბულის ქვანახშირის გამსაღებელი **მთავარი სააგენტო**.

მომდინარე წლის 28 ენკენისთვეს, დილის 10 საათზე ქ. ტფილისში, ფრეილინის ქუჩაზე, № 11 დანიშნულია

საქართ. სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრთა არაჩვეულებრივი კრება.

განსახილველი საგნები: 1) შეცვლა პალატის წესდებისა და საარჩევნო ინსტრუქციის ზოგი §§ სა.

2) განხილვა დებულებისა შესახებ პალატის განყოფილებათა და 3) მომდინარე საკითხები

თანახმად წესდების 37 § ისა თუ აღნიშნულ კრებას არ დაესწრო წევრთა 2/3. მეორე კრება შესდგება 29 ენკენისთვეს, იქვე, საღამოს 7 საათზე, რომელიც კანონიერი იქნება მიუხედავად დამსწრე წევრთა რაოდენობისა.

პალატის კომიტეტი. 1226 3—2

ტფილისის ქალაქ. თვითმართველობა

იწვევს იმ პირთ, რომელთაც სურთ დაიკავონ სკოლის ეკონომის თანხამდებობა და აგრეთვე სასკოლო ამბულატორიის თვალის ეკონომის ორდინატორისა. თხოვნები დაწვრილებითი „ovrriculum vutal“ მიღება ქალაქის თვითმართველობის მედიკო სანიტარულ განყოფილებაში სექტემბრის რვამდე. დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება იქვე. 1513 1—1

საქართველოს რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფის სამართველოს უფროსი

აცხადებს, რომ 1919 წლის 15 ენკენისთვეს დილის 11 საათზე, ტფილისში, სამმართველოს შენობაში (რუსთაველის ქუჩა, № 43) დანიშნულია საქართველოს სამხედრო გზის ფოსტის სადგურების შენობათა იჯარით აღების მსურველთა შეჯიბრება. მსურველთ ცნობების მისაღებათ უნდა მიმართონ ფოსტა ტელეგრაფის სამართველოს, სამმეურნეო განყოფილებაში, დილის რვა საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდე. 1525 1—1